# ხელშეკრულება N MDF/D/NCS/003-2013

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 29 იანვარი, 2013 წ.

**სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (შემდგომში - **„შემსყიდველი "**), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, **ელგუჯა ხოკრიშვილის** სახით და **სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური"** (შემდგომში - **„მიმწოდებელი"**), წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის, **გიორგი ბაბაკიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები"**, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „სპეციალიზირებული პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, დანერგვის, განვითარების, ადმინისტრირებისა და მომსახურების, აგრეთვე, საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N297 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და, ასევე, მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (შემდგომში - **„სისტემა"**) განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება განთავსება მიმწოდებლის სერვერზე და ადმინისტრირება დანართი N1-ის შესაბამისად, შემსყიდველის არაუმეტეს **100 (ასი)** მომხმარებლისთვის **(CPV 48517000)**.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა: **7333,37 (შვიდი ათას სამას ოცდაცამეტი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი)** ლარი. მომსახურების ყოველთვიური ღირებულება: **666,67 (ექვსას სამოცდაექვსი ლარი და სამოცდაშვიდი** თეთრი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

**4.1 მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, დანართი N1-ის შესაბამისად **2013 წლის 1-ლი თებერვლიდან - 2013 წლის 31დეკემბრის ჩათვლით;**

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღმოჩენილ ხარვეზის გამოსწორებაზე მუშაობა;

გ) განახორციელოს სატელეფონო კონსულტაციის გაწევა ცხელი ხაზის მეშვეობით, ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად;

დ) გეგმიური ტექნიკური სამუშაოების განხორციელების გამო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მომსახურების გაწევის დროებითი შეფერხების შესახებ წინასწარ წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (**ელ. ფოსტა:** kkadagishvili@mdf.org.ge; ntsotskolauri@mdf.org.ge) აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულთან დაკავშირებით, შეფერხების დროისა და მისი ხანგრძლივობის მითითებით.

ე) დანართი #1-ით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **20 (ოცი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**4.2 შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**4.3** ამ მუხლის 4.1 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის დროებით შეჩერების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეხსნება ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამგვარი შეჩერებით გამოწვეულ/შექმნილ ნებისმიერ უწესივრობაზე.

## 5. მომსახურების ხარისხი

5.1 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და დანართი N1-ით განსაზღვრულ პირობებს.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მომსახურების ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მის შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ "მუნიციპალური განვითარების ფონდის" ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, **ქეთევან ქადაგიშვილი.**

## 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

## 8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ყოველთვიურად გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ცალკეული პირობების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანზე.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **2013 წლის 1-ლი თებერვლიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.

## 14. სხვა პირობები

14.1წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"<br>მისამართი:ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #150<br>ს/კ: 206074193<br>ტელ.: 99532 2437001/02/03/04<br>საბანკო რეკვიზიტები: BAGAGE22<br>ანგარიშსწორების ანგარიში:<br># GE64BG0000000269619500 | სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური"<br>მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N 16<br>ს/კ: 204577813<br>ტელ.: 226 10 72; 226 10 95<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>კოდი: TBCBGE22, ანგარიშსწორების ანგარიში:<br>N:GE63TB0630936080100001 |
| ელგუჯა ხოკრიშვილი<br>აღმასრულებელი დირექტორი | გიორგი ბაბაკიშვილი<br>სამსახურის უფროსის მოადგილე |

**სისტემის განვითარება, მხარდაჭერა, ტექნიკური მომსახურება და ადმინისტრირება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:**

## დანერგვა

1. სატესტო გაშვება
2. სისტემის ადმინისტრირების (მომხმარებელთა აღრიცხვა, სტრუქტურის მომზადება, მომხმარებელთა გახსნა) ტრენინგი (ერთჯერ)
3. კანცელარიის თანამშრომელთა ტრენინგი (ერთჯერ)
4. ტრენერების მომზადება (ერთჯერ)
5. სისტემის გაშვება
6. მომხმარებელთა სამუშო ადგილებზე სისტემის ტექნიკური გამართვასთან დაკავშირებული კონსულტაცია.

## მხარდაჭერა

1. სამომხმარებლო დოკუმენტაცია
2. სატელეფონო კონსულტაციები ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ.: 226 15 11)
3. ვიდეო-გაკვეთილები
4. შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ტრენერებისათვის შესაძლებელია განხორციელდეს 2 (ორი) დამატებითი ტრენინგი.

## განახლება

1. დანერგილი სისტემების განახლება ახალი ვერსიებით
2. საჭიროების შემთხვევაში, სიახლეებთან დაკავშირებული ტრენინგი ტრენერებისთვის.

შენიშვნა:

1 (ერთი) ტრენინგი ან/და (ერთჯერ) ნიშნავს – შემსყიდველის მაქსიმუმ 15 (თხუთმეტი) თანამშრომლის ტრენინგს (მეცადინეობას) 2 (ორი) საათის განმავლობაში (შემსყიდველის მიერ გამოყოფილ ადგილას).

| | |
|---|---|
| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| ელიზბარ სოკრაძვილი | გიორგი ბაბაკიშვილი |